ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ

თვითნებური საგამოძიებო მოქმედებებით განხორციელებული დევნა

მედიის ინსტიტუტი

ავტორი: **ნატო მირზაშვილი**

რედაქტორი: **სოფო ბებერაშვილი**

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მედიის ინსტიტუტს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს პარტნიორი ორგანიზაციების ან დონორების პოზიციას.

სარჩევი

- ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები 1

  - საქველმოქმედო ფონდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები 3

- სამართლებრივი ანალიზი 4
- დასკვნა 5
- რეკომენდაციები 6

შესავალი

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებების, როგორც *ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ დევნის, განხორციელების* ერთ-ერთი მექანიზმის გამოყენება მასობრივად 2025 წელს, იანვრის ბოლოს, დაიწყო, თუმცა თვითნებური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, როგორც საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი სტრატეგია, 2024 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, იღებს სათავეს.

2024 წლის 24 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე, ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის, „ატლანტიკური საბჭოს“, ორი თანამშრომლის - *სოფო გელავასა* და *ეთო ბუზიაშვილის* - სახლებში. იმავე დღეს ჩხრეკა ჩატარდა რამდენიმე სხვა მოქალაქის ბინაში/ოფისში. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები დაკავშირებული იყო ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმესთან.

2024 წლის 4 დეკემბერს ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა როგორც პოლიტიკური პარტიების ოფისებში, ასევე სამოქალაქო აქტივისტებისა *(ილია ღლონტისა და ნენსი ვოლანდის - იმავე ქრისტინე ბოტკოველის)* და პროევროპული საპროტესტო აქციების იმ აქტიური მონაწილეების სახლებში, რომლებიც დღემდე პატიმრობაში იმყოფებიან პოლიტიკური ნიშნით.

ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები

(2025 წლის 1 იანვარი - 1 მაისი)

2025 წელს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ თვითნებური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება *31 იანვარს* სამოქალაქო აქტივისტების - ნიკოლოზ ლაცაბიძისა და დათო ფუთურიძის - ბინაში ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების განხორციელებით განახლდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული პირების მიმართ გამოძიება დაიწყო როგორც ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდების, ასევე ქალაქ თბილისში არსებულ

რამდენიმე ფასადზე წარწერების გაკეთების საფუძვლით. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ორივე შემთხვევაში ამოღებულ იქნა პირადი ნივთები, მათ შორის ტანსაცმელი. ნიკოლოზ ლაცაბიძის მიმართ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პრობლემური იყო მასთან ადვოკატის შეშვების, ასევე თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვის საკითხი.

2025 წლის 2 თებერვალს, „თბილისი მოლთან“ დაგეგმილ აქციამდე 1 დღით ადრე, ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ფეისბუქჯგუფ „დაიტოვეს“ ადმინისტრატორ ილია ღლონტისა და ამავე ჯგუფის დამფუძნებელ ნენსი ვოლანდის (ქრისტინა ბოტკოველის) სახლებში, ასევე სამოქალაქო აქტივისტების - ისაკო დევიძის, ნინი კეკელიძისა და სანდრო ჭითანავას - ბინებში.

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას *ილია ღლონტის* სახლის ჩხრეკას არ ესწრებოდა ადვოკატი. ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ მისცეს აქტივისტ *ისაკო დევიძეს,* რომელიც იმავე დღეს ადმინისტრაციული წესით დააკავეს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით წარიმართა *ნენსი ვოლანდის* საცხოვრებლის ჩხრეკის ღონისძიებაც - აქტივისტს პოლიციამ მოსთხოვა სრულად გაშიშვლება, ასევე მას და დედამისს არ მიეცათ შესაძლებლობა, გადაეღოთ საგამოძიებო მოქმედების პროცესი - ნენსი ვოლანდის დედას ძალის გამოყენებით წაართვეს მობილური ტელეფონი, რამაც აქტივისტისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების აუცილებლობა განაპირობა. სამოქალაქო აქტივისტების საცხოვრებლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს პირადი ნივთები, მათ შორის მათი საარსებო წყაროები: ნენსი ვოლანდის შემთხვევაში ის კომპიუტერი, რომელშიც მისი შემოსავლის წყარო - ყველა ნახატი და პროექტი - იყო შენახული, ხოლო ისაკო დევიძის შემთხვევაში - 5 ცალი ლეპტოპი და დედის ოპერაციისთვის სესხის სახით გამოტანილი 2000 ლარი.

ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების თვითნებური ჩატარების ციკლი *2025 წლის 24 თებერვალს* სპორტული კომენტატორის, სანდრო ცნობილაძის, სახლში ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებებით გაგრძელდა.

2025 წლის 18 მარტს ჩხრეკისა და ამოღების თვითნებური საგამოძიებო მოქმედებები ასევე ჩატარდა გურიის სამაშველო ღონისძიებაში ჩართული ერთ-ერთი სამოქალაქო აქტივისტის, ლევან გათიაშვილის, სახლში. *2025 წლის 20-21 მარტს* პოლიცია ქუჩაშიც აქტიურად ახორციელებდა აქციის მონაწილეების პირადი ჩხრეკის ღონისძიებებს. გარდა ამისა, *31 მარტს* ქუჩაში პირადი ჩხრეკისა და კანონიერი საფუძვლის გარეშე პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს აქტივისტი ლუკა კინწურაშვილიც.

2025 წლის 24 აპრილს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები განახორციელა პროფესიულ კავშირ „ლაბორის“ *ახალ და ძველ ოფისებში,* „ლაბორის“ დამფუძნებელ *გიორგი დიასამიძის* სახლში, ასევე *„ჰუალინგში“,* სადაც ჩხრეკამდე რამდენიმე კვირით ადრე პროფესიული კავშირის ყრილობა ჩატარდა. პროფესიული კავშირის ხელმძღვანელი ჩატარებული თვითნებური ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებებს მათ მიერ მიმდინარე პროევროპული აქციების მხარდაჭერასა და ჭიათურელი მაღაროელების დახმარებას უკავშირებდა.

საქველმოქმედო ფონდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები

2025 წლის 29 აპრილს, დილის საათებში, ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები ერთმანეთის პარალელურად ჩატარდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის - *ალეკო ცქიტიშვილის,* „ნანუკას ფონდის“ დამფუძნებლის - *ნანუკა ჟორჟოლიანის,* სამოქალაქო აქტივისტების - *მარიამ ბაჯელიძისა* და *მარიამ გეგუჩაძის* (მოძრაობა „სირცხვილია“), „ფროსფერითი ჯორჯიას“ წარმომადგენელ *ლაშა არველაძისა* და ფონდის - „ერთმანეთისთვის 24/7“ - დამფუძნებელ *გუგა ხელაიას* სახლებში. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას წინ უძღოდა *2025 წლის 8 თებერვალს* საქართველოს პროკურატურის მიერ მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ განცხადების საფუძველზე საბოტაჟის დამამძიმებელ გარემოებაში, საბოტაჟის მცდელობისა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ხელყოფის მიზნით უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ფაქტებზე გამოძიების დაწყება, რასაც *2025 წლის 17 მარტს* იმ საქველმოქმედო ფონდებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების *(„თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“, „ნანუკას ფონდი“, „ფროსფერითი ჯორჯია“, ფონდი „ერთმანეთისთვის 24/7“, მოძრაობა „სირცხვილია“)* საბანკო ანგარიშების დაყადაღება მოჰყვა, რომლებიც მიმდინარე აქციების მონაწილეებს შესაბამისი საჭიროების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდაში ეხმარებოდნენ.

- 2025 წლის 29 აპრილს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ალეკო ცქიტიშვილი, პროკურატურის თანამშრომლებმა ჯერ ქუჩაში, მის სახლთან ახლოს, გაჩხრიკეს - ჩამოიყვანეს ავტობუსიდან და ჩამოართვეს მობილური ტელეფონი, ხოლო შემდეგ ჩხრეკის თვითნებური საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს მის ბინაშიც. შედეგად ამოღებულ იქნა ალეკო ცქიტიშვილის სამსახურებრივი ლეპტოპი და „ადამიანის

უფლებათა ცენტრის“ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი და სხვა სახის დოკუმენტები.

- მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, მარიამ ბაჯელიძის, სახლში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება პოლიციამ ჯერ მოტყუებით, შემდგომ კი ბინაში ძალის გამოყენებით შესვლის მუქარით დაიწყო. მარიამ ბაჯელიძეს *საწყის ეტაპზე არ განემარტა,* თუ რა საფუძვლით ატარებდნენ მის ბინაში საგამოძიებო მოქმედებას, ასევე აქტივისტს არ მისცეს შესაძლებლობა, მობილური ტელეფონის მეშვეობით სრულად გადაეღო ჩხრეკის ღონისძიება და აღნიშნულ პროცესს დასწრებოდა მისი ადვოკატი. საყურადღებოა ისიც, რომ მარიამ ბაჯელიძე განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების დროს იყო 7 თვის ორსული და ზემოხსენებული ღონისძიებები მისი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ჩატარდა.
- აქტივისტ მარიამ გეგუჩაძის საცხოვრებელ სახლში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას პოლიციის თანამშრომლები როგორც თავად აქტივისტს, ასევე მის ადვოკატს არ აძლევდნენ შესაძლებლობას, დასწრებოდნენ აღნიშნულ პროცესს.
- „ნანუკას ფონდის“ დამფუძნებლის, ნანუკა ჟორჟოლიანის, ბინაში დილის 8 საათიდან დაწყებულ საგამოძიებო მოქმედებებს რამდენიმე საათის განმავლობაში არ დაასწრეს მისი ადვოკატი - ჩხრეკის დაწყებისას ბინაში იმყოფებოდნენ ნანუკა ჟორჟოლიანის არასრულწლოვანი შვილი და მამა. გარდა ამისა, ნანუკა ჟორჟოლიანის ბინაში ჩხრეკის საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას ესწრებოდნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლები.

სამართლებრივი ანალიზი

როგორც *2025 წლის 29 აპრილს* სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო ფონდების წარმომადგენელთა ბინებში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები, ასევე 2024 წლის 24 ოქტომბრიდან 2025 წლის მაისამდე განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების სხვა ღონისძიებები ჩატარდა არაერთი პროცედურული ნორმის დარღვევით: საგამოძიებო მოქმედებების ობიექტებს *უკრძალავდნენ* ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებას; საგამოძიებო მოქმედებები ძირითად შემთხვევებში მიმდინარეობდა *ადვოკატის დასწრების უფლების* შეზღუდვით - მათ გარეშე; ჩხრეკისა და ამოღების მიზნებისთვის წარდგენილი სასამართლო განჩინებები იყო ზოგადი ხასიათის - არ შეიცავდა ინფორმაციას *ძებნის საგნის შესახებ*, რაც გახდა როგორც საგამოძიებო მოქმედების ობიექტების არაერთი პირადი ნივთის *(მობილური ტელეფონების, ლეპტოპების),* ასევე იმ პირების *(მათ შორის არასრულწლოვნის)* კუთვნილი ნივთების ამოღების საფუძველი, რომლებიც განჩინებაში არ იყვნენ მითითებულნი. საგამოძიებო მოქმედების რამდენიმე

ობიექტის შემთხვევაში შესაბამისი უწყების წარმომადგენელთა ბინაში ჩხრეკის მიზნით *შესვლა განხორციელდა მოტყუებით.*

[საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის](#) 112-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ ჩხრეკის ან ამოღების შესახებ გაცემულ განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს *ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები* სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები. ამავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც *აღნიშნულია განჩინებაში* ან დადგენილებაში. ანგარიშში განხილული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა აღნიშნული საპროცესო სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევით. გარდა ამისა, ჩხრეკისა და ამოღების *პროცესის გამჭვირვალობისა* და *სანდოობის* გარანტიის უზრუნველსაყოფად კონკრეტული უწყების თანამშრომელთა მხრიდან არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები - საგამოძიებო მოქმედებების რამდენიმე ობიექტს არ მიეცა ჩხრეკის პროცესის გადაღების, ხოლო მათ ადვოკატებს ამ პროცესზე დასწრების საშუალება.

[ადამიანის უფლებათა დამცველების](#) წინააღმდეგ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური მხარე არღვევს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას და ეწინააღმდეგება საცხოვრებელში სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური, უკანონო ჩარევის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტებს - [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის](#) მე-12 მუხლს, რომელიც კრძალავს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას; [სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის](#) მე-17 მუხლს, რომელიც, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მსგავსად, კრძალავს როგორც პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრებლის შეუვალობაში ან კორესპონდენციის საიდუმლოებაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას, ასევე ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.

დასკვნა

2024 წლის ოქტომბრიდან დღემდე ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ მიზანმიმართულად განხორციელებული თვითნებური საგამოძიებო მოქმედებების სისტემური ხასიათი მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ლეგიტიმური სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, პროცედურული ნორმების დარღვევით ჩხრეკისა და ამოღების

ღონისძიებების ჩატარება გამოიყენება როგორც დაშინებისა და დევნის მექანიზმი, რაც *სახელმწიფო პოლიტიკის გაცხადებულ ნაწილად* იქცა.

რეკომენდაციები

➢ უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურ მომხსენებელს *(მერი ლოულორს)*:

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“ აღკვეთოს ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ დაშინებისა და დევნის მიზნით საგამოძიებო მოქმედებების *თვითნებურად და უკანონოდ* ჩატარება; ასევე უზრუნველყოს ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ნორმების დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;

➢ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს *(მაიკლ ო'ფლაჰერტის)*:

- *შეისწავლოს* ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ თვითნებურად და უკანონოდ ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებები და შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური დარღვევები;
- *რეკომენდაციის/განცხადების ფორმით მიმართოს* პარტია „ქართულ ოცნებას“ და მოუწოდოს, აღკვეთოს ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ საგამოძიებო მოქმედებების თვითნებურად და უკანონოდ ჩატარება; ასევე უზრუნველყოს ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების პროცესში არსებულ დარღვევებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- *მეთვალყურეობა გაუწიოს* გაცემული რეკომენდაციების შესრულებას პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან.

➢ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს (OSCE/ODIHR):

მოუწოდოს პარტია „ქართულ ოცნებას“, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაატაროს *თვითნებურად და უკანონოდ,* დაშინებისა და დევნის მიზნით, ასევე უზრუნველყოს უკვე ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების მატერიალური/პროცესუალური ნორმების

დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს:
  - ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ნორმების, გამჭვირვალობისა და სანდოობის პრინციპების დაცვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული ღონისძიებების თვითნებურად და უკანონოდ ჩატარება - დევნის მექანიზმად გამოყენება;
  - მოხდეს იმ თანამშრომელთა იდენტიფიცირება, რომლებიც მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ ჩხრეკისა და ამოღების თვითნებურ საგამოძიებო მოქმედებებში და დაიწყოს გამოძიება მათ მიერ ჩადენილ პროცესუალურ დარღვევებზე;
  - ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების ჩატარების სტანდარტის შესახებ გადამზადდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საგამოძიებო მოქმედებებში, რათა აღნიშნულმა ხელი შეუწყოს პროცესუალური ნორმების დარღვევის პრევენციას.

- საქართველოს პროკურატურას:
  - ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა იყოს დასაბუთებული. მათ შორის ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებების მოთხოვნის შუამდგომლობა ეყრდნობოდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს *(შუამდგომლობაში აღმოსაჩენი/ამოსაღები საგნის, ნივთის მითითება)*, რათა თავიდან იქნეს აცილებული საგამოძიებო მოქმედებების თვითნებურად და უკანონოდ ჩატარება;
  - შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ თვითნებურ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პირების იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში ჩატარდეს შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები:
    - გამოძიების მიზნით პროკურატურამ დაადგინოს იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო

აქტივისტების წინააღმდეგ ჩხრეკისა და ამოღების თვითნებურ საგამოძიებო მოქმედებებში;

- ზემოაღნიშნული პირების ვინაობის დადგენის შემდეგ დაიწყოს გამოძიება მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და იმ სხვა ნორმების დარღვევასთან მიმართებით, რომლებიც განხილული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს არ იქნა დაცული;
- გამოძიება ჩატარდეს სრულად და ობიექტურად საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში არსებული დარღვევების სწრაფი, ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე.

➢ საქართველოს საერთო სასამართლოებს

საქართველოს პროკურატურის მიერ ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით შუამდგომლობით მომართვის დროს სათანადოდ იქნეს შეფასებული შუამდგომლობის წარდგენის საფუძველი და შესაბამისი დასაბუთება. განჩინების მომზადების ეტაპზე სასამართლო არ დაეყრდნოს მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობას და განჩინება გაიცეს შესაბამისი მატერიალური ნორმების სრული დაცვით, მათ შორის სასამართლო განჩინებაში იმ საგნის/ნივთის მითითებით, რომელიც ჩხრეკისა და ამოღების საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს უნდა იქნეს აღმოჩენილი/ამოღებული.